

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

კელამსია: სოფოლაქზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლ-ში, № 8.

კანტორა კელამსიისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тѣхъ мѣсѣхъ. Въ редакцію газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დროებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

კელამსიის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასამტკიცებლად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვისადრე-სი: ВЪ Тѣхъ мѣсѣхъ. Въ редакцію газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი აპრილიდან პირველ ივლი-სამდინ გაზეთი ღირს—2 მან. და 50 კაპ. წლის დამლევაში—6 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამო-ზღვნილი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 26 აპრილს. ზუშინ პარ-ლამენტს წარუდგინეს რუმინის შესახებ დიპლომატიური მიწერ-მოწერა, რომ-ლიდამაც სჩანს, რომ რუმინის აგენტს ძატარჯის უცნობებია ძარკიზ სალსბე-რისათვის რუმინის შევიწროებული მდგომარეობა. მთელი ბესსარაბია რუ-სის ჯარებით არის დაქერილიო ასე, რომ რუმინის მთავრობა ყოველ წამს შეიძ-ლება იძულებული შეიქნეს, რომ მცირე მალახიაში გადავიდესო. ძატარჯის გა-მოუცხადებია, რომ რუმინის ჰსურს თა-ვის წარმომადგენელი ჰყავდეს კონგრეს-ზედ; რუმინიამ გადაწყვიტაო, რომ ბეს-სარაბია არ დაუთმოს რუსეთსაო.

სალსბერის მიუწერია პასუხად: ინგ-ლისს ჰსურს, რომ რუმინია ხელ-უხლე-ბელი, მთელი დარჩეს.

ბრაფი შუეალოვი ამ სამშაბათს წა-მოვიდა ლონდონიდან; წამოსვლის წი-ნეთ ამას ლორდ ბიკონსტილდთან ჰქონ-და მოლაპარაკება; 10 მაისს მოელიან რმის აქ დაბრუნებას პეტერბურლიდამ.

კებერბურლი, 25 აპრილს. დიდი ძნიაე-ნა ანასტასია მიხაილის ასული დანიშ-ნა შეკლენბურგ-შეგრონის დიდ ჰერცოგს ჭრიდრიზ ჭოანცზედ.

ნიუ-იორკი, 25 აპრილს. ხომალდით „ბერმანიით“ მოვიდნენ აქ რუსიას ორი აგენტები; რომელნიც ეძებენ (სასყიდ-

ლად?) მსწრაფლ მოსიარულე ხომალ-დებს.

ჰენა, 25 აპრილს. ბაზეთს „Presse“-ში იწერებიან: ოსმალეთის მთავრობა დაემორჩილა რუსეთის მოთხოვნებსა და შემოიღო ჯარის გაყვანის შესახებ. მარ-ნიდამ და ბათუმიდამა კი ოსმალეთს ჯერ არ გაჰყავს თავის ჯარები.

ლონდონი, 25 აპრილს. ბრაფ შუ-ეალოვის პეტერბურლიში წასვლის თაო-ბაზედ გაზეთი „Times“ ამბობს: ჩვენ არ შეგვიძლიან დავთანხმდეთ იმაზედ, რომ რუსეთს უპირატესობა მიეცეს. ჩვენი მოთხოვნები, რომ მთელა პირობა სან-სტეფანოს მორიგებისა წარადგინოს რუსეთს კონგრესზედ, იმისაგან კი არ წარმომდინარეობს, რომ ჩვენ რუსეთზე გამარჯვება გვინდოდეს; ინგლისს უნდა მხოლოდ ის, რომ რუსეთს ოსმალეთ-თან ომის დაწყების დროს წარმოთქმუ-ლი თავის სიტყვა და დაპირება აასრუ-ლებინოს.

კებერბურლი, 25 აპრილს. ამბობენ, რომ ტრეპოვის მაგისტრალ პეტერბურლის გრადონაჩალხიკად თ. ბალიცინს ნიშ-ნავენ.

საქართველო

კრება ბანკის თაობაზე

უკანასკნელი ხსობა, 26 აპრილს

თავდა-ზნაურობის უჩვეულებრაეო კრების დახურვია შემდეგ, ხელ-ახლად გაიხსნა კრება ბანკის დამაარსებლებისა.

შველახე პირველად კრება შუღდა ერთის დამფასებლის (თ. ი. ავალიშვი-ლის მოადგილის) ამორჩევას. ხმის უმე-ტესობით ამორჩიეს უფ. ანტ. შურცე-ლაძე, რომელსაც 42 თეთრი კენჭი ამოუვიდა; დანარჩენი ორი: თ. ა. შა-ლიკოვი (36 თეთრი კენჭი) და თ. ს. ჩერქეზოვი (34) დანიშნეს დამფასებ-ლის კანდიდატათ.

ქენჭის-ყრის შემდეგ, კრებამ თითქმის ერთ-ხმად მიიღო და დაამტკიცა ბანკის ზედამხედველი კომიტეტის ჰაზრი, რომ „იერის (საგარჯოლ) დაშობგველთა აშ-ხანაგობას“ ასესხოს, როცა მოითხოვს, 2,000 მანეთი. ამას გარდა გადაწყდა, რომ, თუ შემდეგშიაც დაარსდება თფი-ლისის გუბერნიაში ან გვარი სასარგე-ლო ამხანაგობაო, იმათაც ასესხოს ბან-კმა ფული (თითოც 2,000 მანეთამდინ).

იმ 6,000 მანეთიდან, რომელიც 1876 წლის საზოგადო კრების გადაწყვეტილე-ბით სასოფლო გამსესებელ-შემნახველ ამხანაგობისათვის არის დანიშნულიო.

ბაცხარებული ბაასი აღძრა თ. ზაქა-რია ანდრონიკაშვილის წინადადებაჲ, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში:

ბანკის წესდება თხოულობს, რომ ვისაც ბანკის კრებებზე თვითონ დას-წრება არ შეუძლიან და ჰსურს სხვას გადასცეს თავის ხმა, იმან ნოტარიუსისა-გან დამოწმებულ ექილობის ქაღალდით უნდა მიანდოს სხვას თავის ხმა. ეს წე-სი შემავეწროებელია განსაკუთრებით ღარიბ თავდა-ზნაურობისათვის. ეს გამო თ. ზ. ანდრონიკაშვილი თხოუ-ლობდა, რომ აქაც ის წესი იქნეს შე-მოღვეული, რომელიც მარშლების ამო-ჩვევის დროს არის: ე. ი. ნოტარიუსისა-გან დამოწმებულ ქაღალდს საფუძვ-საკმაო იყოს, რომ მარშმუნებელმა მის-ცეს თავის ვეჭილს ბანკის ორი დამარ-სებლისაგან ხელ-მოწერილი მოწმობა და ამ მოწმობის ძალით იმას მიენ-ჭოს შესაფერი უფლება.

კრებამ ხმის უმეტესობით მიიღო ეს წინადადება.

თ. ნაპ. ამატუნის წინადადებით კრე-ბამ განაცხადა უარი იმაზედ, რომ პრი-კაზში დაგირავებული მამულები თფი-ლისის გუბერნიის თავდა-ზნაურობასა საადგილ-მამულო ბანკში გადაიტანონ თავის ვალითა.

უკანასკნელად კრებამ მოისმინა თხო-ვნა მიცვალებულის ღენ-მაიორის ილია ჩოლაყაშვილის ქვრივისა იმის თაობაზედ, რომ, რადგან ჩემი ქმარი ომში მოკლეს, ბანკმა დაგირავებულს მამულში აღე-ბულის სესხის სარგებელი მადროვიო.

კრების გადაწყვეტილებით კნენია ჩო-ლაყაშვილისას აღროვეს ხსენებული სა-რგებლის შეტანა.

ამის შემდეგ თავსმჯდომარე კათო-აცხადა, რომ სხვა მოალაპარაკებელი საფანი კრებას აღარა აქ სრავ და ამის გამო თავდა-ზნაურობის კრება ბანკის თაობაზედ გათავდაო.

დღიური

* * ჩვენ გვითხრეს, რომ ძველსის საბურთაო საზოგადოებას კამისია გაუგ-ზავნა იმერეთში ფრანკუნის ლონკე-ლის მამულში იმ ახალი ავანტიურობის გამოსაძიებლად, რომელიც ამის ეზს გასჩენია.

* * ამ რამდენიმე დღის წინათ, ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ ერთი ცოლად სომხას ახალ გათხოვილი ქალი გადავიდა ჰავლაბრის ხიდზე და თავი დაიღრჩოვო. ახლა გვაცნობებენ, ვითომც ის ქალი უნახავთ და კიდევ დაუმარხავთ. თავის-ღარჩობის მიზეზზედ ზოგნი ამბობენ, რომანხლი დედამთილი ჰყავდა და ის აწუხებდა; ზოგნი კი ამტკიცებდნენ, რომ ხსენებულ ქალს, როცა გათხოვდა, უმანკოება დაკარგული ჰქონდა, სინდისი სტანჯავდაო და იმიტლამ მოიკლა თავიო.

* * ამბობენ, რომ დიდუბეში (ნემეცების ქალონიში) ერთი ნემეცის თოთხმეტობითი წლის გოგო მოუტაცნით ცოლად ეთხოვნოდა, წაუყვანიათ ქალაქი გარეთ და გუჟატიურებათ.

* * ძახეთიდან ამჟამად ძალიან კარგი ამბები მოგვლის ამ წლის მოსავლის შესახებ. ბევრენ, ისეთი კარგი ტაროები დგასო და ამის გამო ისეთი კარგი მოსავლის პირი არისო, რომ, თუ შემდეგში კალია, სეტყვა არ სხვა რამ აგვარი უბედურება არ გვეწვია, ჩვენი ხალხი, უეჭველია, წელს დიდძალ ღვინოს და სხვა ნაშუშევარსაც გაასაღებსო.

* * ჩვენ გვითხრეს, რომ გასული კვირის განმავლობაში მარტო ერთს დღეს აველაბარში 14 კაცი დასასულაკესო, მეორე დღეს 12 მიკვალეულიო. შველა ესენი სულ რაღაც ახალი ავათყოფობით დაიხოცნენო.

* * ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ ჰავლაბრის ნაკოლაების პირველ-დაწყებით სასწავლებელში ქართველ ყმაწვილებს ქართულს ენას არ ასწავლიანო.

ახლა გვატყობინებენ, რომ ამ სასწავლებელში სულ ოცამდინ არიან ქართველი ყმაწვილებიო და ქართულის ენის მასწავლებელი არიო (ერთი მღვდელი ასწავლისო, ამბობენ, მუქთად) და კვირაში ერთი გაკვეთილი აქვთ, შაბათობითო, მეოთხე გაკვეთილიო.

როგორც ჰხედავთ, ჩვენ მაინცა-ღამაინც ბევრი არ შეგვეცდენია, რადგან კვირაში ერთი გაკვეთილი თითქმის სულ უსწავლელობას უდრის..

* * მრბირილამ გვერენ, რომ ამ აპრილის 23-ს დღისით შევარდნა საიდგამლაც იქ გაბრაზებული მგელი, ორჯელ აურბენია და ჩაუბრუნია ბაზარში, ოთხი კაცი დაუკბენია, რამდენიმე საქონელი და ბოლოს როგორც იყო ადგილობრივ კამანდის სალდათებს მოუყვანა თოფით.

* * ჩვენ მივიღეთ მუთაისილამ შემდეგი მენიშნვა:

„23 აპრილს ქართული სცენის მოყვარეთა ითამაშეს მუთაისში მატროსკის პიესა „შემოსავლიანი ბღილი“. შუ. მ. ძლიანშვილისა (მუკუშინის ქვრივის როლს თამაშობდა) და ძ. მესხის (შადოვი) თამაშმა აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ძ. მესხმა

დამტკიცა ამ დღეს თავის თამაშით, რომ, თუ დრამატიული როლი კარგათ იქნებნათამაშევი სცენაზე, ქართულს პუბლიკას შესძლებია გრძობა და დაფიქრება. ბევრი ამბობდა აქამდინ, რომ დრამატიული როლი ჩვენში არ ითამაშება ვერაფერს გაიგებსო; მაგრამ ეს ჰაზრი ტყუილი დარჩა.

„წარმოდგენილამ, აღებული ფულის ნახევარი — 53 მან. სცენისათვის გადაიდგა.“

„დ რ მ ე ბ ა“ კორესპონდენცია

თელავი, 16 აპრილს. ბევრგან უწესო ჩვეულებათაგან ჩვენს საქართველოს მდებარე ხალხში კიდევ დაშთენილა ერთი ფრიად შესანიშნავი ცრუმორწმუნობა:

ხალხის აზრით, თუ ძრისტეს აღდგომის დღეს ვინმე დედათაგანი შევიდა ეკლესიაში, უეჭველათ იმ წელიწადს სიღარიბე ჩამოვარდება იმ სოფელში და ყოველს მოსავალს აღზოცავს სეტყვა. ეს ჩვეულება თითქმის ყოველს სოფელში არის და დღემდის არავის უზრუნია ამის მოსპობისათვის.

თელავის პოლიციას ვერ გავამტყუნებ ამასში, ამისთვის რომ შეიძლება არ იცოდეს ეს ამბავი, მაგრამ რას ზრახებენ ამანებდ სოფლის მღვდლები, რომელნიც ჰხედავენ ამ უწესობას ყოველს წელიწადს?

რომ დაახლოებით გვაცნობო ჩემს მკითხველს ეს ჩვეულება, მინდა დაწვრთლებით უამბო ის არეულობა, რომელიც მოხდა დღეს სოფელს შაშიანში:

ამ სოფელში განვილილს მარტის თვეში სასულიერო მთავრობამ განაწილა მღვდლათ ი. შ., რომელიც ემსახურებოდა პირველათ მელოს-სიხეში და შრიათ-შანში და რომელსაც მთავრობა იცნობს თავის თანამდებობის მტკიცეთ აღმასრულებელათ. პირველსავე შემოსვლაში ამ მღვდელმა შეიტყო კერძოთ, რომ შაშიანის გლეხთ საზოგადოებას ძალიან მტკიცეთ უჭარავთ ზემოაღნიშნული ცრუმორწმუნობითი ჩვეულება და ამის გამო საჭიროთ დაინახა და სახალხოთ გამოაცხადა, რომ ეს ჩვეულება არის წინააღმდეგი როგორც ეკლესიისა, ვერაფრე სამოქალაქო კანონებისა და სთხოვა, რომ ამის შეღდგამ მოესპოთ ეს ამბავი. მაგრამ, როდესაც თავისი ქადაგებით ვერა გააწყო-რა ხალხში, მოუწოდა ადგილობრივს მამასახლისს და სთხოვა ჯეროვანი შემწეობა. მამასახლისმა, ნაცვლად მღვდლის კანონიერის მოთხოვილების აღარულებისა, პირდაპირ გამოუცხადა მას რომ მამა-პაპის ჩვეულებას ის ვერ მოსპობს და არც შესაძლებელია, რადგანაც გამოცდილებით იცო, რომ ეკლესიაში ერთის ქალის შესვლა მოიყვანს დიდს სეტყვას და განრისხდება ღმერთი.

ამანებდ იყო ლაპარაკი რაფენიმე დღე და მღვდელი კიდევ არა ჰკარგავდა იმედს ხალხის მოქცევაზედ. მაგრამ როდესაც


მრთელმა საზოგადოებამ არდელის წინა დღეს გამოუცხადა, რომ ისინი დგან პირველს აზრზედ, მაშინ მღვდელმა მიანება თავი და შეუდგა წესის აღსრულებას.

სოფლის მცხოვრებნი აღდგომის დამეს ეკლესიის გარეშემო ეწეოდნენ ქიფს და როდესაც მოაწია დრომ და ზარი დაირეკა, ისინი კარგათ შეზარბო-შებული იყვნენ. მოგვესწინებათ, რომ ღვინო-მოჭარბებულს კაცში უფრო განძლიერდება და განცხობვლდება ხასიეთები და ფიქრები წინათვე განზრახულნი. შაილო საყდრის კარი, შევიდა მღვდელი და შეიყვანა თან თავისი ცოლ-შვილი. ადგილობრივი აზნაურნი რცხილაძეები ჯერ ვერა ჰბედადნენ ეკლესიაში შესვლას იმ შიშით, რომ წარსულს წელ-შოაც იმათი ცოლები და შვილები ცემა-ტყებით გამოარეკეს იქიდან გლეხებმა. ბოლოს როგორც იყო გაბედეს და შევიდნენ; ამათ შეჭყენენ თან სამი გლეხი კაციც. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ის სცენა, რომელიც მოხდა ამ ქამათ ფოტოგრაფიით ასაღები კარტინა იყო: აირიო ეკლესიის გარეშემო ხალხი; შეიქმნა ყვირილი, ლანძღვა, წყევლა. მართის სიტყვით, აქ ჰნახავდით ყოველს უწესობას, რომელიც კი შეჭმენის მთვრალეებს..

მღვდელმა მაინც არ მიუდგო ამათ ყური და გამოვიდა ეკლესიიდან შიგ მყოფის ხალხით და ჩვეულებისაგერ უელიდა ეკლესიას. წარმოსტევა მღვდელმა „ძრისტე აღდგა!“ რაფენიმე ხმა მოისმა „ჭეშმარიტად“. მაგრამ ეს სიტყვა ჩქარა გაქრო აუარებელმა გლეხთ ყვირალმა: „ურა...ურა...ურა!“ და სხვა; გაიმეორა მღვდელმა „ძრისტე აღდგა!“ ხალხილამ მოისმა: „არა!.. აღდგენ ეშმაკება!“ ამის შემდგომ მღვდელი შევიდა კოლადა ეკლესიაში და იწყო წირვა. მაგრამ ხალხმა არც იქ მოასიგენა ეს უბედურა: ყოველს საჯალობილზედ მოისმოდა გარედგან: „ბაიწყრეთ წირვის მადლი, დაიქცეს საყდარი და მოგიყოლოთ ქვეშა!“

ახლა გნახოთ — რას შერებიან ის გლეხნი, რომელთაც არ ისურვეს ეკლესიაში შემოსვლა. მამასახლისმა მისცა ამათ დარიგება, რომ იდგნენ მტკიცეთ თავის განზრახვაზედ და თითონ გაარიდა თავი. ხალხის წინამძღვრათ დანიშნა ერთი სულა, რომლის განკარგულებით ეკლესიის კარებში დადგნენ გზირები ჯოხებით ხელში და უკრძალავდნენ შესვლას. მრბოდე კაცმა და ქალმაც კიდევ იგემოვნეს ეს ჯოხები, რადგანაც საყდარში შესვლა მოინდომეს. ხალხმა შენიშნა, რომ აზნაურებში მოჩანს სამი გლეხი კაცი. შეიქნა კვირვა: „ბამოდით გარით, თორემ აგიკლებთ სახლ-კარიანათ!“ დაპირეს კიდევ შესვლა საყდარში იმათ გამოსაყვანათ, მაგრამ შიგ მყოფთ აზნაურთ არ მისცეს იმათ ამაზედ ნება...

რაც ღონე იყო მღვდელმა შეასრულა წირვა და გამოვიდა გარეთ. იმ წამსვე იგრილა ხალხმა და იერიშით მიადგნენ



ამას და რაღაც წინააღმდეგობასაც აბი-
რებდნენ; მაგრამ მღვდელი დაჰხვდა მ-
მაცად და ხელ-ახლად იწყო ქადაგება და
ჯეროვანი დარბევა. ხალხმა მოკლეთ
მისცა პასუხი და უთხრა ერთხმით: „ზო-
გი კლოობას მოძიანდი და მოითხოვე
პური. იქნება თავ-პირ დამტყრეული მოს-
ლიოდღე!“ ამით გათავდა სცენა და დაი-
შალა ხალხი.

ამ გვარივე შემთხვევა მოხდა დღეს
სოფელს აკურაშიაც. მაგრამ ბოლოს
ისევ ხალხს უთხოვნი მღვდლისათვის
მოტყევა და ასეც მოხდა, რადგანაც
ხელ-შეკრულობით უკისრიათ მოსპობა
სამუდამოთ ამ ჩვეულებიან.

მართი ანბრებული ჩვეულება სხვა არის
გლეხებში: აღდგომის დღეს წირვაზედ
ანთებული სანთლებით სტუქავენ ერთ-
მანერთს თმასა და წვერს. ღაღებდა სა-
ძაგელი სუნი და საკომის სუნის სამა-
გიეროთ გვესმის სიმყარაღე. წარსულს
წელში ერთს ეკვლისაში სწორეთ იმ
დროს, როდესაც მთავარ დიაკონი კით-
ხულობდა სახარებას, მისცეს ამ საწყალს
ცეცხლი და გაუტუყეს თმა; ვერც თი-
თონ ამან და ვერც მღვდელმა ვერ ამო-
იღეს ხმა. მიზეზიც ის იყო, რომ ზო-
გიერთ სოფელში კრებულს მდებლათ
დაუყენებიათ თავისი თავი და ისე ეში-
ნიანთ გლეხებისა, როგორც შეიღებეს
ბრაზიანი მამისა.

აქამდით არც მღვდელსა და არც ერ-
სა არ ამოუღიათ ხმა და არც მოკვეთი-
ლა ეს სულელური ჩვეულება; ესლა
განვაცხადებ ამას და ვრაცხ მოვალეთ
განსაკუთრებით სასულიერო მთავრობას,
მოაქციოს ამაზედ ჯეროვანი და მკაცრი
მღვიძარე ყურადღება; უამისოთ ეს ზე-
მო აღწერილი უწყსობა ისეთ ფესვებს
გაიდავს გლეხების გულში, რომ ამას
იქით სამღვდლო პირს აღარა რაიმე
მნიშვნელობა და გავლენა აღარ ექმნე-
ბა მრევლში და იძულებულ იქმნება
უნებლიეთ აღასრულოს ყოველი მოთ-
ხოვნილება მისი. ძიღვე კარგი, რომ
ეს ერთი მაინც გამოჩნდა იმისთანა წე-
სის დამცველ, რომელიც არ ზოგავდა
თავის თავს სასიკვდილოთ ამ გვარს არე-
ულობაში: უშიშრათ წინააღმდეგა უწყ-
სობას და ცრუ-პორწმუნეობას...

პუკია

რუმის აზებები

რუმისთვის მზადება

ლონდონიდან იწერებიათ, ვითომც
ლორდ ლიტტონს—ინდოეთის მთავარ-
მმართველს გამოეცხადებინოს ინგლი-
სის სამხედრო სამინისტროსათვის, რომ,
თუ ვინიცობა ინგლისსა და რუსეთს
შუა რში ატყდა, აქედამ შეიძლება 150,
000 კარგათ გაწრეთვილი და დაიარა-
ღებული ჯარები გამოვგზავნოთ.

ბაზ. „Indep. Belge“-ში დაბეჭდილია
სტამბოლიდან 15 ამ თვეს მიღებული
შემდეგი დეპეშა:

„როგორც ეტყობა, ბათუმის მხრისა-
კენ მცხოვრები ლაზები, ქობულეთლები
და საზოგადოთ ოსმალოს ქართველები
სრულიად არ აბირებენ სან-სტეფანოს
მორიგების პირობებს დაემორჩილონ,
რომლის ძალითაც ოსმალიეთი უთმობს
იმათ რუეთსა.

„მა გარემოება აღვიღალ გასაგებია, თუ
წარმოვიდგენთ, რომ ოსმალიეთის მთავ-
რობა სრულებით არ ავიწროებს ბათუ-
მის მაზრის მცხოვრებ-ქართველებს და
ესენი თითქმის სრულიად თავისუფლად
და შეუწუხებელად ცხოვრებენ ოსმალი-
ეთის ხონთქრის ხელ-ქვეით.

„აქედამ ცხადათ სჩანს, რომ, თუნდა
კადეც რომ შევიდეს ძალაში სან-სტე-
ფანოს მორიგება, რუსეთს ძალით დაპყ-
რობა დასჭარდება ოსმალიეთის საქართვე-
ლოსი, რადგან ნებით ეს მხარე არ
დაემორჩილება რუსეთის მთავრობას.“

ვენის გაზეთებში იწერებიათ, რომ რუ-
სეთისაგან დაპყრობილ რუმელიაში, ბალ-
კანის მთების სამხრეთით, ყველგან ამდ-
გარან მუსულმანები, რამდენსამე ალაგას
დასცემიან რუსის ჯარებს და ნაშღვილი
რში აუტეხიათ. რამდენიმე ასი კაცი და-
უჭრიათ და მოუკლავთ ბრძოლაში, ბოლ-
გარიის რვა სოფელი დაუწვავთ, ფილი-
პოპოლისაკენ მიდიან და აღრიანოპო-
ლში მყოფ რუსის ჯარსაც შიში აქვსო.

ამ რუმელიის მაჰმადიანების აჯანყე-
ბის მიზეზს ასე გვიწერს ვაზ. „პოლი-
ტიკური ძორრესპონდენცია“:

„პირველად არეულობა მოხდა ბალ-
დირკიოის მაზრაში, სადაც ბულგარიე-
ლებმა გადასწვეს ორი სოფელი მუსულ-
მანებისა და რამდენიმე ქალი მოიტაცეს.
მართი ბულგარიის ავანკთავანი მივიდა
მოტაცებული ქალის მამასთან და უთხ-
რა, რომ 400 პიასტრი მომეცი და შენს
ქალს უკანვე მოგიყვანო. მაბრაზებულმა
მამამ ფულის მაკიერ რევოლვერი ამოი-
ღო ჯიბიდან, ესროლა ამ კაცს და იქვე
მოჰკლა.

„მა იყო პირველი ნიშანი და მიზეზი
არეულობისა. მას აქეთ მთელი სოფლე-
ბი ადგნენ, ამათ მიემატათ სულიმან-
ფაშის დარჩენილი აკრიადები და შეიქ-
ნა სოფლების წვა და ხალხის აკლება.

„ახლა აჯანყებულების რიცხვი, რო-
გორც ამბობენ, 30,000 კაცამდინ არი-
სო; იმათ ჩინებული თოფ-იარაღი აქეთ,
ბევრი ტყვია-წამალი, ზარბაზნებიც და სხვ.

„რუსის სამხედრო მთავრობამ აღრი-
ანოპოლიდან გაგზავნა ჯარები იმათ და-
სამშვიდებლად. ხონთქარმა ორი აფიცე-
რი გაგზავნა აგრეთვე სტამბოლიდან იმ
განზრებით, რომ ხალხს თოფ-იარაღის
დაყრა და დამშვიდება ურჩიონ.“

„ბაზეთს „Presse“-ს სწერენ სტამბო-
ლიდან, რომ ამ დღეებში იქ მისულა
დენერალი ძემბალი, რომელიც ადრე
მუხთარ-ფაშის არმიასთან იყო ინგლი-
სის სამხედრო აგენტად დანიშნული. ამ
დენერალს სამხედრო მთავრობისაგან
აქვს თურმე მინდობილი ოსმალიეთში

მოაგროვოს ჯარი ინგლისსა და რუსეთს
ვის, აგრეთვე მოამზადოს ამ, არმიისაოცეს
სურსათი და გამოიკვლიოს—თუ—სად,
რომელ მხრისკენ უფრო მარჯვედ შეუძ-
ლია ინგლისის ჯარს ომის ატეხის დროს
ხმელეთზე გამოსვლა.

რუსიუკიდან იწერებიათ ფრანკულულს
გაზეთში, რომ მთელს მეროპის ბრძო-
ლის ველზე, ე. ი. რუმინიაში და ბოლ-
გარიაში ამჟამად 150,000 ჯარი ჰყავს
რუსეთსო; მაგრამ ეს ჯარი ისეთ ნაირად
დალალული და დასუსტებულია, რომ
მომეტებულ ნაწილს ახალი ლაშქრო-
ბის ატანა ძალიან გაუჭირდებაო.

„მოსკოვის უწყებებში“ იწერებიათ
ბუხარესტადამ, რომ რუსის ექიმებმა შე-
ამოწმეს აქ სამასი ათასი ყუთი სუხარი
და გამხმარი ხორცი და ყველა ეს ხორ-
ცი და სუხარი სრულებით დამაალი და
გაფუჭებული გამოდგაო. სულ თორმე-
ტი მილიონი მანეთის იყო ეს სურსა-
თიო. ამის გამო მეიჯარადრებს ახალი
სუხარი და ხორცი შეუყვეთესო.

ზორიგვანის თაობაზე

ვენის კორრესპონდენტი გაზეთის
„Temps“-ისა გვაცნობებს, რომ რადგან
ამჟამად თ. ბორჩაკოვი და თ. ბისმარკი
ორიგენი ავით არიან, ამის გამო მოლა-
პარაკება შესახებ ინგლისისა და რუსე-
თის მორიგებაზედ, დროებით შეწყვეტი-
ლი არისო.

ამავე გაზეთის სიტყვით, თუმცა ინგ-
ლისი ძალიან მტკიცეთ დგას თავის სიტ-
ყვაზე და თითქო იმას ძალიან სურს
რუსეთთან ბრძოლის დაწყება, მაგრამ
ბერმანის, ანუ უკეთ ესთქვათ, თ. ბის-
მარკს ჯერ კიდევ იმეღა არ დაკარგვიაო,
რომ საქმე უბრძოლველად გაათავოს და
რუსეთი და ინგლისი მოარიგასო.

ვენის გაზეთი „Tagblatt“ გვარწმუ-
ნებს, რომ ჯერ-ჯერობით აესტრია ინგ-
ლისსა და რუსეთს შუა საქმის გათავებას
სუყურებს; თუ მშვიდობიანად გაათავეს
იმათ განხეთქილება, ხო კარგი; თუ არა
და, უმჯველია, რომ როგორც პირველი
თოფი გავარდება, აესტრიაც იმწამსვე
ჩაერევა ამათ ბრძოლაში.

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი

როგორც პარიკიდან მოსულმა დეპე-
შამ გვაცნობა, 19 აპრილს (1 მაისს
განსნილა ამ ქალაქში მსოფლიო გამო-
ფენა. ჯერ, რასაკვირველია, პარიკის გა-
ზეთებს არ მოუტანიათ ჩვენთვის აღწე
რა—თუ როგორ და რა ამბით გაუხსნი-
ათ ეს გამოფენა, როგორი და რა საგ-
ნებია ამ გამოფენაზე ყველაზე უფრო-
მომეტებულის ყურადღების ღირსი და-
სხვ. და სხვ.

მაგრამ საფრანგეთის ოფიციალურს

